

გამოდის უოველ-დღე ორჯაბათს ბაჲდა

ცაღბე ნიშეძი „ღმრთების“ ღირს 5კმ.

ფრუმება

ფრუმება

ივერია

ტელეგრაფები

მესამესი — — — — 94—75

პრტისტებმა არ მოიშალეს ესე ყმაწვი-
ლური უზრუნველობა თავის მოვა-
ლეობის აღსრულებისა, მაშინ გა-
მოეთხოვონ საზოგადოების თანა-
გრძნობას. მოთამაშეებს უნდა იმის
გაგება, რომ ის საქმე, რომლისთეი-
საც მათ ხელი მოუკიდნიათ, ადვილი
და პატარა არ არის; ყოველი საზო-
გადო საქმე ბევრს ვალდებულებას
სდებს კაცს, უმეტესს ყველასა თეატ-
რის საქმე. საზოგადო საქმეში საქი-
როა ყველაზე უფრო სინიდისი და
ცდა და თუ ამასთან ნიჭიც მოსდევს
კაცს, რაღა ემჯობინება. აი, ნიჭი
ბევრია ჩვენს ტრუპაში და თუ ამას-
თან უფრო სინიდიანიანთ ეცდებიან
თავის მოვალეობის აღსრულებას, გი-
ნემ აქამდის აღსრულებდნენ, მაშინ
საზოგადოების თანაგრძნობას საზღვა-
რი აღარ ექნება; წინააღმდეგ შემ-
თხვევაში სანატრელი იქნება, რომ
ეს ტრუპა სულაც არ დაწესდეს, რად

პირველი და უმთავრესი—საზოგადოებას გულის აუტრუფედა ქართულ თეატრზე, ნაკლებ დაიარება ქართულ წარმოდგენებზე და თუ მოდის, ხანდისხან უნებურათ, იმისთვის, რომ ~~შეგოძმე~~ ოთხი-ხუთი საათი დრო გააფუჭოს, იმ იმედით რომ იქნება აოთხს საათში ერთმა მაინც რამ კმაყოფილება მისცეს, და არა იმისთვის რომ იმედი ჰქონდეს თავის ესტეტიკური გრძნობების სრულიად დაკმაყოფილებისთვის. ბანა საჭიროა, რომ მიზეზები მოგახსენოთ, რისთვის მოხდა ყველა ეს? ჩემის ჰაზრით საჭირო თუმიცა ამავე საგანზე „დროებაში“ არა ერთხელ თქმულა, მაგრამ რა ბევრს ვიჩიინებთ, ბევრს ვიბაძებთ ამ საგანზე და ხშირ-ხშირათ გაგახსენდეთ.

ს. ხელთუბანიდამ გეწერენ, 2
იენისს. ღღეს ადგილობრივი ადო
ნისტრაციის შრომით სრულიად
პო ჩვენს დაჩაში კალია. მუ^{აღა}
გულითად მადლობას ჩვენს^{ფაბის}
—

მოსაწყენი არ იქნება, მკითხველი
შენთვის კიდე მოგახსენიო, რა
ჩვენი არტისტები - ძაღვების ღატაკ
მოთხოვნილებას უსრულოდობის; მ
ლებენ... მსე იგი დასა და შინა
დასა.

მშრომელს ადმინისტრაციას და განსაკუთრებით პოლიციის ჩინოვნიკს ბ. მიხეილ მაჩაბელოვს, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ შრომაში, და ორის თვის განმავლობაში მოასპობინა კალია ახალსოფელის, სობისების, ზელდუღეთის, ძვარხითის, მორტიზის და ახრისის დახეში.

ტერ-მოგესეს შეწულობა.

„დროებას“ კორესპონდენცია.

რამა, 2 ივლისს. როგორც ვხედავთ და ვარაუდობა გვიმტკიცებს, ჩვენი სასოფლო მმართველობა ისევ პირველ დასაწყისშიდევ სჯობდა. მხოლოდ, როგორც დრო მიდის, ისრესუსტდება, სოფლის მოხელე პირები დახელოვნდნენ; იმას ცდილობენ, რომ საწყალი გლეხებისაგან რამე მიიღონ, თორემ მათს გაჭირვებულს მდგომარეობაში ისენი სულაც არ შედიან, ფიცა მათ არ ახსოვთ, და საქმის ცუდად წაყვანა არ ერიდებთ, — რა გენადლებათ, ვინ არის შემტყობი მათის მოქმედებისა!

რაჭის გლეხები სოფლის მოხელე პირების უკანონო მოქმედებაზედ ხშირად სჩივიან, მაგრამ ადგილობრივი მმართველობა ბრძანებს „რათ ამოიჩივთ მოხელეებთან მაგისტანა ცუდი კაცებია“! თქვე დალოცვილებო, ხალხის ისენი ანგელოზებათ ეგონა აღმოჩენად, მაგრამ იმავე კანონით ისენი უნდა დაისჯონ უკანონო მოქმედებისათვის; განა არ იცით მოხელე პირების აღმოჩენის დროს პარტიობა განლაგდეს და აღმოჩენა ხშირად ხდება ყრილობის უნებურად.

საქმის გარჩევის დროს სასოფლო მოსამსახურებს არა აქვთ თავის უფლება; სინდისიანათ საქმის განსჯა და მეზობლურის სამართლის მინიჭებას ისინი მოკლებულნი არიან. რისთვის? — სთვით, რომ მათ ჰყავს რომელიმე ქვე პირთაგან ძალდატანებით დაკლებულნი მწერლები, რომლებ-

(მ) აბენ? სხვის რილასი მოთხოვნა შეადგენს ამ გვარი პირებისაგან? როგორ შემოიძლიან ყმაწვილს ლექსი წავაკითხო, თუ იმას ანბანი არ შეუწავლია?

რათ არის ეს ეგრე? რატომ ესე უპატრონოთ ეპყრობიან ჩვენი არტისტები თავიანთ საზოგადოებრივ სამსახურს? პირ-და-პირი პასუხი ამისა არის ისევ ის გონებითი სისუსტე. როგორიც ამ საქმის დასაწყისში იყო და თავის თავიდან პატივის-აღება, ნუ დაევიწყებთ ამასთან, რომ ეს არის საზოგადოების ხალხის შეურაცხყოფა, და ის კაცო, რომელიც არა თუ მთელ საზოგადოებას მიაყენებს შეურაცხყოფას, არამედ ცალკე პირსაც, ზნეობით დაცემული და დამნაშავე უნდა იყოს.

ჩვენ არ ვამბობთ მანერებზე, მიხერა-მოხერა, — შეუძლებელია პარაკი, თუ როლი

საც მიჰყავს სასოფლო საქმე მათის სურვილისა-მებრ, მოსამართლეები პირ-დამუწული შესჩერებიან ამ მწერლებს, არ შეუძლიათ ხმა ამოიღონ და თუ რამე უთხრეს, მაშინვე პან-ლურს ახლებენ და კანცელარიიდან გამოაგდებენ... მეტყვიით: რათ ქირაობენ ამისთანა მწერლებს? ძაი დავებართოს, რომ მათ ნებაზედ იყოს იმათი აღმოჩენა! ძრილობის ნებაზედ რომ მწერლის აღმოჩენა იყოს, უმკველია რომ ისენი ამისთანა შემაწუხებელს პირებს არ აღმოიჩინებენ, არამედ სხვას — სინდისიანს კაცებს, მაგრამ ეს დახელოვნებულნი მწერლები ადვილათ დასათხოვნი არ არიან სასოფლო კანცელარიისაგან.

რაჭაში თითქმის ექვსი-შვიდი წელიწადია რაც საზოგადოებისაგან დაქირავებულნი ცხენები ყოველ დღე და ღამე მუდამ კანცელარიისთან ჰსდგანან, — თვითთულს საზოგადოებაში სამ-სამ ცხენებზედ ნაკლები არ გახლავს; გლეხები იხდიან ამ ცხენების ქირად არა ნაკლებ ას ორმოც და ათის და ორას ორმოც-და-ათისა მანეთისა, წელიწადში. მს ცხენები არიან მოსამსახურე ჩინოვნიკებისათვის დამხლებულნი, რომლებიც უნდა შევადგენ ამ ცხენებზედ სოფლებში სამსახურის დროს. ძანონით იმათ უნდა ექმნეს მათ მთავრობისაგან „პადაროქნა“, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას ამ კანონს, ვისაც რუსულათ აცვია, რაჭაში ყველა ისინი ჩინოვნიკები ჰგონიან და თუ ცხენი მოითხოვა უნდა მიართონ. ნოტარიუსი რომ თავის სახლში მობრძანდებოდეს „პრაგონის“ ცხენზედ უნდა შევადგენ ის და მისი ურიცხვი სვიტებიც; პრისტავები რომ დაპატიჟებული ბრძანდებოდნენ ვისგანმე, პრაგონის ცხენი უნდა წაიყვანონ; იასაულები რომ სოფელში სიარულით დაიღალებიან, პრაგონის ცხენებს მოითხოვენ; უფლის ნაჩაღნიკი და მომრიგებელი მოსამართლის კაცები რომ

რის ხასიათს არ იცნობ, აქ რა შესაფერი მიხერა-მოხერა და მანერები გექნება; ჩინეთელს იმერელად წარმოადგენ და იმერელს კახელად.

ბრავითარი პროკრესის არ ეტყობა ჩვენს არტისტებს, მხოლოდ შეჩვევიან სცენას და უფრო აშკარად, თამამად გამოდიან საზოგადოების წინ ვინემ დასაწყისში; გამოდიან და მეორე მესამე სიტყვაზე კისერში რალაც გაეკეცებათ და ლულულულის მეტი აღარა ისმის-რა. იმაზე საზიზღარი და სამარცხენო რა იქნება სცენაზე, როდესაც არ იცი რა თქვა და ცხვარსავით (სულელლობის, უაზრობის გამომხატველი ემბლემა) დაგიჟყვით თვალები.

სად არის რეჟისსორი? იკითხავთ თქვენ. რა ქნას რეჟისსორმა? როგორ შეუძლიან იმას გააზვიერებინოს რომლები? შეუძლებელია. ან და ვინ იყვენ რეჟისსორებათ, რა პირები, რომ შეძლებოდან ყოველ მხრივი განვლენა ჩვენს არტისტებზე? მართა

ქვემო რაჭაში ღვინოებს იყიდნან, პრაგონის ცხენებით უნდა წაიღონ.

თუ საწყალი გლეხების მდგომარეობაში შევალთ, იმ შემთხვევაში ძლიერ კარგი იქნება, რომ ცხენების დაქირავება ხალხს მოშორდეს, დაბრკოლებაც არაფელი იქნება მთავრობისათვის. აი როგორ შეიძლება ეს მოხერხდეს: როდესაც ჩინოვნიკი მიბრძანდება სოფლებში, ან სხვაგან, სამსახურისამებრ, მაშინ წინ-და-წინ მაინც ცნობონ მამასახლისს, რომ ცხენი მუდამ სასამართლოს კარებზე არ იყოს გაჩერებული და საჭიროების დროს ცხენს მაშინვე მიუყვანენ მამასახლისს. ამისთვის კარგი იქნებოდა შეაწიონ ცხენის პატრონს გლეხს გზის საკეთებელში წასვლა ანუ სასოფლო გარდასახადი. ღვს, რომ ერთი გლეხი აასრულებს ამას, იქით კვირაში მეორე, მესამე და მეოთხე. მს უმფრო იფიქრად დაურჩება საზოგადოებას, ვინემ 250 მანეთის გარდახდა ყოველ წლით. ამ ფულების გარდახდას საწყალი გლეხები ვერ ახერხებენ; ზოგს ქვაბი ერთმევა, ზოგს ცულდი, ზოგს სახნისი და ზოგს რა და რა... ბანა მარტო ეს სოფლის გარდასახადი აწევს გლეხებს? ბანა მღვდელია, მასწავლებლის მწერალია, სტაროჟის ქირა, სუდიების და მამასახლისის რჩენა და სახლში ჩაჯდომა, ჩინოვნიკების გამასპინძლება არ ეყოფა იმათ ქირათ? მართს მამასახლისს ჩაეწერა შემოსავალ-გასავლის წიგნი: „პოლიციის პრისტავის ბ—ძის სადილისათვის ცხვარი ვიყიდე, რომლის ფასად დაიხარჯა სამი მანეთი“, საზოგადოების ფული.

სასოფლო სასამართლოების საქმეების რევიზია წრევანდლამდის არავის მოუხდენია; წელს კი, როგორც გავიცეთ, ბ. უფლის უმფროს დაუელია უფლი, მაგრამ, მის მიერ მოხდარმა

თვითონვე აღვიარებდა თავის შეუძლებლობას რეჟისსორობის თაობაზე, მაგრამ იმისათვის ეკიდებ ხელსაო რომ საქმე დაეწყოს და შემდეგ გამოჩნდებო; გამოჩნდა მეორე — ვერ გაუძლო, გამოჩნდა მესამე — ვერ შესძლო და სულ ამ გვარები! „მგლის თავზე სახარების კითხვა შეუძლებელია“ იძახდნენ ჩვენი რეჟისსორები, მაგრამ უნდა გამოეტყდეთ, თვითონ ისინიც ვერაფერი მოციქულები იყვნენ.

ამ ორი წლის არსებობის შემდეგ კიდევ სრულებით დაუდგომელ ნიადაგზე დგას ჩვენი თეატრი. ბევრი ხმა არის, რომ ხალხს მოთხოვნილება არ აქვს და თეატრი იმიტომ მიდის ცუდათ... მე მომეტებულ შეცდომილ აზრათ მიმაჩნია; აი რატომ: თეატრის კარგათ წაყვანისათვის საჭირო მატერიალური საშუალება მაშინ მოიპოება, როდესაც ხალხი დაიარება წარმოდგენებზე და როდესაც წარმოდგე-

რევიზიამ, რა ცელილება ჩნა მოხელე პირებში და ან რა წაქოლევენება იპოვა მათში, ეს ჯერ არ ვაგვიგია.

დაჭკელი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენი პატივისცემული გაზეთის დროების 136 №-ში არის დაბეჭდილი კორესპონდენცია ბ. რაჭველისა, რომელიც ეხება ჩემს მოქმედებას, აღსრულებისამებრ ნოტარიუსის მოვალეობისა. ბ. რაჭველი მბრალდებს მე: 1) სულ მეორედ გარდახტევენებას ფულებისა საბუთების შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, თუ რომელიმეს მიზეზით საბუთის გარდაკეთება დაჭირდა 2) გლეხების „დანების“ შესრულებისათვის ორ მანეთზე მეტის მოთხოვნას. 3) სახაზინო მიწების კერძო პირების გარდაცემას, 4) საბუთების შესრულებაზე ერთის და იმავე მოწმების დასწრებას და საბუთებში ისეთ პირობების ჩაწერას, რომლების გამო ვითომც დიდი უთანხმება ვარდებოდეს მხარეთა შორის. ამებზე დაუძენია ბატონ რაჭველს, რომ მე სხვა საქმეებშიც ვერევი და „ირონიულად“ წარმოუთქვამს „მახეში გაბმულა ჩიტიო“. ბ. რაჭველს მოუნდომებია დააჯეროს მკითხველი საზოგადოება ზემო მოყვანილ გარემოებებში, და დაუწყია მოთხოვნა შემდეგის წინა სიტყვაობით: „რაჭის ხალხმა ბევრი მოთმენა იცის; იმათ ძლიერ სძულთ მოხელე პირზედ ჩივილი და სხ. და სხ.; მაგრამ ის კი არ უფიქრნია, რომ თავის ნაამბობის დამტკიცება მას არ შეუძლია და რომ ამ გვარის სიტყუის შეთხზვით ის დაკარგავს რწმუნებას.

ბ. რაჭველო! წარვიდა ის დრო, როდესაც ხალხი ვერ ბედავდა საჩივრის განცხადებას თავის დამჩაგრელ-შემწუხებელზე. ახლა აქაურები ძალიან თვალ გახელილები არიან. აბა ინებეთ ვისიმე შეურაცყოფა, დაჩაგრვა,

ნები კარგათ მიდის, ხალხი ყოველთვის ბევრი იქნება.

ჩვენ სკანდალებს, აყალ-მაყალს, ხელ-აღებულ მოვალეობის აღსრულებას თუ ვერ გადურჩით, ყოველთვის სიამოვნების მაგიერ უსიამოვნების მეტს ვერას გამოვიტანთ წარმოდგენებიდან, რათ ვივლით თეატრშიო.“ — აი ესე ლაპარაკობს ხალხი და ვინ გაამტყუნებს?

ადგილის სიპატარავე ნებას არ მძლევს რომ სხვა მიზეზები წარმოვსთქვა ჩვენი თეატრის ეგრე დაცემისა, მაგრამ ზევით მოყვანილი მიზეზებიც გადაჭარბებით კმარა რომ ეს მშვენიერი, დიდი, ხალხიანური საქმე ჩაიღუპოს სულ, თუ დროზედ ხელი არ შევეწყვეთ. ჩემ მოსაზრებას, თუ როგორ შეიძლება თეატრის უკეთ წაყვანა, შენდებში მოგახსენებთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

ქართული თეატრის მოყვარე.



ან ზარალის მიცემა და ნახვით თუ დაგიომბენ. ნუ თუ არ იცით, რომ ზოგიერთი აქაური ჩინოვნიკები კიდევაც მიტყეპეს, არამც თუ უჩივლეს. აბა მითხარით, ეინ მიჩივლა მე ამათის წლის განმავლობაში? მთხოვე მიმითითო მასზედ, ვის გარდავახდევინე მეორეჯერ ერთის და იმავე საბუთის შედგენისათვის ფული? იქნება ჰეიქრობთ, რომ მე ვალდებული ვარ უსასყიდლოდ შევასრულო ისრეთი აკტი, რომლის გამოცვლა აღმოჩნდება საჭიროდ, რაიმე გარეშე მიზეზით და არა ჩემის შეცდომით; იქნება გგონიათ რომ „დანების“ შესასრულებელი ფულები მეძლევა მე პირ-და-პირ გლენებისაგან. სცდებით, თუ ამას ფიქრობთ. ეს ფულები არის დაცული ხაზინაში, საიდანაც ვლენებოვ მე შემდეგ გაგზავნისა „დანებისა“ საგლენო პრისუტსტიაში, რომელიც მიგზავნის მე ტალანს. მინდა გარწმუნათ, რომ ერთი და იგივე მოწმების დასწრება სხვა-და-სხვა აკტის შესრულების დროს, აღქმალულია კანონით. მიზრძანეთ, ეინ ესწრებათ ქალაქების ნოტარიუსებს მოწმებად, როდესაც იგინი უსრულებენ საბუთებს იმ პირებს, რომელნიც მიდიან მათთან ამ საჭიროებისათვის? მინ არ იცის, რომ თითოეული ქალაქის ნოტარიუსის კანტორაში იმყოფებიან მუდამ სამ-სამი კაცი, განგებ მისთვის, რომ მიიღონ მოვალეობა მოწმებისათვის თავზე, საბუთების შედგენის დროს. როგორ არ იცით, რომ აქ, ონში, თუ რომ ჩინოვნიკებს არ მიმართე თხოვნით, ვერ იშოვნო ისეთი მოწმეს, რომელმაც იცოდეს რუსული წერა კითხვა; მაშა სადამე რათ ანმობოთ, რომ მე ჩემს ნაცნობებს და მეგობრებს ვისწრებ მოწმებად საბუთების შედგენის დროს. აბა იფიქრე, ის სჯობია, რომ ზორიდან მოსული, საბრალო გლენი, საბუთის გასაკეთებლად ისევ გაბრუნდეს სახლში იმ მიზეზის გამო, რომ ერთი და იგივე ჩინოვნიკი უნდა გახდეს მოწმად მეორე აკტის შესრულების დროსაც, — თუ ისა, რომ შეუსრულებდეს მას შესრულება საბუთებისა. სად წაიკითხეთ, რომ ნოტარიუს აღკრძალული ქონდეს, მიიღოს მოწმედ ნაცნობი და მეგობრები? თუ ის გენბაედა წარმოგეტქვა, რომ ამგვარი მოწმების დახმარებით ვადგენ ყალბ საბუთებს, რამ დაგიშალათ გამოაშკარება ამისი და დამტკიცება?

სახაზინო მიწების კერძო პირების ხელში გარდასვლაზედ, საჭიროდ არ ვრაცხ პასუხის გებას; რადგან ისრეთ უგზურად ვერავის დაესთვლო, რომ დაიჯეროს ისა, რასაც თქვენ ამბობთ. სახაზინო გლენს შეუძლია გაყიდოს მხოლოდ ის მიწა, რომელზედაც აქვს კანონიერი საბუთი, და კიდევაც რომ შემესრულებინა, როდესაც მე აკტი, რათ იქნებოდა რომ დამტკიცებულიყა.

მ. შიფიანის და იმ მღვდლის საქმეზე, რომელმაც იყიდა პირველისგან ტყე, კი არის საჭირო, აღსადგენ-

ლად სიმართლისა, ითქვას აქ სიტყვა. აი როგორ იყო საქმე: მღვდელმა ჰარბადემ იყიდა ტყე შიფიანისაგან 350 მანეთად. ამით მთხოვეს მე შესრულება ნასყიდობისა, მაგრამ, რადგან შიფიანმა ვერ წარმოადგინა კანონიერი საბუთი ტყის კუთვნილობაზე, თუმცა შესაკუთრე იყო, მე უარი ეუყავი მათ. შემდეგ ისინი შეთანხმებულ იყვნენ ესრეთ: შიფიანს უნდა შეესრულებინა „ზაპროდავნი ზაპისი“, რომელიც მღ. შ. უნდა წარედგინა სუდიასთან და მისჯის შემდეგ უკანასკნელსადმი ფულისა, უნდა აწერილიყოს აღნიშნული ტყე და ჩაეტოვებინოს მღვდელს. ამ საბუთის შესასრულებლად მოვიდნენ ჩემთან ორნივე და, როდესაც მე მოვსთხოვე 2 მან. და 50 კაპ. ღერბის ქალაღი, მათ მიპასუხეს, რომ არ შეუძლიათ იშოვონ და თუ შეიძლება უბრალო ქალაღზე გაკეთება, მთხოვეს. მე გამოუცხადე მათ, რომ ნაცვლად 350 მანეთისა, თუ დასწერენ 50 მანეთს, შესაძლო იყო დაწერილიყოს უბრალო ქალაღზე და დაკრძალეს მარკა. იამათ ორივე მხარეს ამის შეტყობა და გამოძიებადეს, რომ, რადგან ფასი ნაკლები დაიწერება საბუთში, შტრაფი მეტი დაიწეროს. მღვდელმა ისტყვა, რომ მას უნდა გადატანა სამზღვარისა ნასყიდს ადგილზედ და რადგან ტყისგან ადგილის გაწმენდაზე და შენობების გარდატანაზე და გაწყობაზე ღირს ხარჯი მოუყა, ამის გამო არ იქნება უადგილო ისეთი საბუთი შევასრულოთ, რომლის ძალით შემდგომს გადახდევინება, 2000 მანეთისა, იმ შემთხვევაში თუ მიღალატა გამოძიებულმა, რადგან ეხლავ არ სრულდება ნასყიდობა. შიფიანმაც თანა უგრძნო მღვდელს და ამის გამო შესდგა ის საბუთი, რომელზედაც ამბობს ბ. რაჭველი და ჰფარავს იმ გარემოებას, რომ მღვდელმაც მისცა პირობა შიფიანს, რომ იმ 2000 მანეთში, რომელიც ზაპისში იყო მოხსენებული, გარდა ტყისა, არაფერი აეწერა; წინააღმდეგ შემთხვევაში თავის მხრით შტრაფს მისცემდა. მათავე ამით, ჯერჯერობით, პასუხს ბ. რაჭველთან იმ ჰაზრით, რომ ის აიხდის მასკას და გამოძიებაპარაკება პირ-და-პირ. აი, მაშინ ენახეთ, რომელს ჩვენგან უფრო ემდურება რაჭველი ზალხი და, რომელი ჩვენგანი უფრო მაინებელია მისი.

რაჭის ნოტარიუსი სპირიდონ. დვადი.
8 ივლისს, ონი.

მეველი ქართული ეკლესიური გაღობა რამდენა ხმა არის ნახმარი და საჭირო ქართულ საეკლესიო გაღობაში და ეს ხმები რუსულ გაღობაში რომელ ხმებს უდრიან, აი ამხედ რამითხრეს ჩვენი გურული მგალობლების შევირდებმა, ახახმა მალაქია ბარკალიამ და გურულმა სამსონ შავიშვილმა, ოდესაც იმათ ამ წელს

ბრწყინვალე დღესასწაული პასქა, ანუ აღდგომა მომილოცეს გალობითა.

„სამი ხმა ქართული გალობისა:

1. მოქმელი, ანუ დამწყობი, რუსულზე პირველი ტენორი,

2. მომძახი, ანუ მაღალი ბანი, რუსულზე მეორე ტენორი,

3. ბანი, რუსულზე ბასი.“

მე აქ შემთხვევით განვაგრძობ სიტყვას შესახებ ნოტზედ გალობის გაღობისა. პირველს ამ ივლისში მე წარველ სოფელს ღიღომს, რომელიცა ზორავს ობილის რეა ვერსით, და რომელიც არის მუხრან-ბატონიშვილების მამული. აქ მე ვიყავ ღენერალ ივანე პოსტანტინეს-ძე მუხრანსკის მეუღლესთან, ნინო—უგანათლებულესის სამეგრელოს მთავრის ლევან ღადიანის ასულთან, რომელსაც მე ჩემს ახახმეთის მეოფაშიდე ვიცნობდი. ამ კნენამ, შესახებ გალობისა და ნოტზედ გალობის გაღობისა, მითხრა: „მაღობას ჩვენც შევსწირავთ, მაგრამ როცა ნოტის დამწერმა ნოტზედ გადაღება დაიწყოს, ანუ გადასწორება, მაშინ თქვენი მგალობლები და მენოტე ჩემთან მოვიდნენ და აქ დასწერონ გალობა—ნოტზედ. მე გალობა მესმის, მე თითონ იმათთან ჩავსდები, გალობას ვიტყვი და ისე დაწერონ.“

ახლა სრულათ დარწმუნებული ვარ, რომ კნენა ნინო არ დააკლებს ქართული გალობის საქმეს თავის მატერიალურს და სხვა შემწეობას, მე ვაცნობებ ამ ამბავს მომავლის მენოტეს და მგალობლებს, რომ გალობის ნოტზედ გადაღების დროს ნინო მუხრანსკის მეუღლესთან მიიქცენ და იქ დასწერონ და გადასწორონ გალობის ნოტები, რადგან კნენას გალობის სმენა და გეგმა აქვს და თითონაც კარგათ იცის გალობა.

რადგან გალობაზე ლაპარაკი გვექონდა, მე შემთხვევით ვკითხე კნენა ნინას თუ წაიკითხა „ღროებაში“, ქართული გალობის შესახებ დაბეჭდილი სტატიები. პრა, ბრძანა კნენამ; იმაში ბევრს სიცრუეს სწერენ ჩვენ შესახებ*) და იმიტომ არ ვიწერთო და ზედ დაუმატა: წინეთ სწერდნენ ვითომც ჩვენი მხლებლები ცარცვიდნენ მოგზაურებს ღიღომს ახლო, ხოლო ყოველსავე ამ ნაირს მოქმედებას ჩადიოდნენ ობილისის ავაზაკები და ჩვენ მოსამსახურე მეგრელებზე კი გადაჭრულათ ბრალო.

მსეც უნდა დავსძინო აქა, რომ საკვირველი მლოცველი და ხუტური წიგნების მცოდნეა ეს კნენა ნინო.

*) ჩვენ არ გვინდა ერთი ასოც გამოვაკლოთ ყოველთაგან პატრივტული ჯგუფსანდრე ეპისკოპოსის ნაწერს; მისი წერის კიდეა, მისგან მოყვანილი ფაქტები და ზნებები გვინდა მუდამ უგებლათ ვებეჭდოთ, მისი სხედის და დამსხურების პატრივის ტყმით. ამ სიტყვებსაც იმიტომ ვაძლევეთ ადგილს... უმასუსოთ.

მის სტოლზედ ხუტური ჯგუფისა და ღადიანი ილა. მეტყველ. მანქანა და წაიკითხე შემდეგი პირველი მუხლები პირველი კანონისა.

ა) ნეტარ ანს კატი, რომელი ანს მიკიდა ზნასვას უღმრთოთასა, და გზას ცოდვილთასა ანს დადგა, დასჯადმელსა უსჯულოთასა ანს დასჯდა.

ბ) ანამედ სჯულის უფლისა ანს ნება მისი, და სჯულის მისს ზნასვან იგი დღე და ღამე.

ეს ორი მუხლი ღადიანისა ჩემ შემდეგ გრძნობით და მორიდებით განიმეორა კნენამ ზეპირათ. საზოგადოათ უნდა ესტყვა, რომ კნენა ნინო ფრიად მლოცველი, ღეთის მოშიში და ღეთის მოყვარულია. იმედია, რომ ვარსკვლავსანი კნენა (აქვს ჯილდოთ ეკატორინეს ვარსკვლავი) არ დააკლებს თავის სიყვარულს ქართული ეკლესიის დიდებასაც.

ეპისკოპოსი ალექსანდრე. 13 ივლისს. თფილისი.

თფილისის სამაჟრანლო

ავათყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღევს შირველ საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გავრანსკი — ექიმი ბუბიაზისა და ქალების ავათყოფობისა; გოწალევი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათყოფობისა; როტინიანტი — ქალებისა და ემწევილების ავათყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათყოფობისა; შტემბოვსკი — ვენერიულ და ტყავის ავათყოფობისა.


ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევიჩი — სირუგიული ავათყოფ.; რეისი — თვალის ავათყოფობისა; ბასუტოვი — ბუბიაზისა, ქალებისა და ემწევილების ავათყოფობისა; შტემბოვსკი — ვენერიულ ავათყოფობისა.

ო თ ს შ ა ბ ა თ ს. კრანსოვოიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათყოფობისა; ქიუზარანტი და შტემბოვსკი — რიფილიტიკური და ტყავის ავათყოფობისა.

ს უ თ შ ა ბ ა თ ს. გავრანსკი — ბუბიაზისა და ქალების ავათყოფ.; როტინიანტი — ქალებისა და ემწევილების ავათყოფ.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტო-ტრანპიის ლისიცოვი და შტემბოვსკი — შინაგან ავათყოფობისა; ქიუზარანტი 1-ლი სიფილისტიკური ავათყოფობისა.

შ ა რ ა ს კ ე ვ ს. მინკევიჩი — სირუგიულ ავათყოფობის; ბასუტოვი — ბუბიაზისა, ქალებისა და ემწევილების ავათყოფობისა; კრანსოვოიადოვი, ლისიცოვი და ვენერიული — შინაგან ავათყოფობისა; შტემბოვსკი — ვენერიულ და ტყავის ავათყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცოვი — შინაგან ავათყოფობის. რეისი — თვალის ავათყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათყოფობის; ქიუზარანტი 2-ე — ქალებისა და შინაგან ავათყოფობისა.



ობრესტი — კბილის ავთოქოფებს, მიიღებს თავის სახელში მუდამ დროს ღარიბებს საავთოქოფოს ბარათებით.

ბაქსია

საკვებაჲ სარაგეულებათა, რომელნიც იყიდებოდნ თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 ივლისიდან 15 ივლისამდის.

ბამამცხვარი პური: ხორბლის ფქვილის: პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ. მეორის „ — 1 გირ. 3 1/2

იმვე ფქვილ. თორნეში ბამამცხვარი: პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 1/2 მეორის „ — 1 გირ. 4 კ.


ჯვარის-მამის პური: პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 6 1/2 მეორის „ — 1 გირ. 5 კ. მესამის „ — 1 გირ. 4 1/2

ძროხის ხორცი: პირველის ხარისხის — 1 გირ. 9 კ. მეორის „ — 1 გირ. 7 კ. სუცი — — — 1 გირ. 15 კ. სხვრის ხორცი — 1 გირ. 9 კ.

ღორის ხორცი: პირველი ხარისხის — 1 გირ. 14 კ. მეორის „ — 1 გირ. 12 კ. ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაღენებზე მოაქვთ ხორაგი გასასყიდლად.

განცხადებანი

სოფ. ანთოქში, თბილისის უფელ-ში იყიდება გაკეთებულ ღვინის დიდი და პატარა ქვევრები-ვიდრე ორას ევლიანამდინა; აგრეთვე მიიღება ზაკაზი რა ზომისაც საჭირო იქნება. ადრესი: ჰაელაბარში, 13 უჩასტაკში, საკუთარს სახლში № 14. ალექსი მრისტეფორისძე ჩიჰოშანი. (3—1)



მოელს ქვეყანა-ში გამოჩენილი და უკლებსაგან სმარე-ბული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება სოფელ, განსაკუთრებით სშირთაფის თითებს შუა,

გალმანინი
(Гальманинъ)

ისეილება აფთიაქებში და აფთიაგის წამლების მალაზიაში ევროპის უკლებსაგან დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ჭარმაკის მაგისტრის გ. კარზინსკის აფთიაგის ქ. ვარშავში, ელექტრალის ქუჩაზე № 35. დიდი კარბა გალმანინის ვარშავში 50 გ. ღირს, პატარა — 30 კაზ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარბაგასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედლი ვარაყის მსოფლიო გამოფენისა. (20—14) გ. კარზინსკი.

ინგლისის მაღაზიაში
აჩწრუნის გალლეუქიაში
(Maison de confiance)

შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის უკლებსაგან — 1 მ. 10 კაზ. — 1 მ. 40 კაზ. — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაზ. — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაზ. — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაზ. — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაზ. საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა — უქალაქოა, სსვგან გიქალაქოთ. (100—17)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანეთ., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., გრავატანი გრესლო 10 მ. დაწვებული, ფილტრები 4 მ. ქინძისთავების შესანასავი 50 კაზ., სრუსტალის ჩაის სტაქები 25 კაზ. და 30 კაზ., ლეპიომკები და პასტილა თამაქას მსმარებლებსათვის 60 კაზ. ინგლისური ვანები და სსვგ. (20—19)

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-სიანთან (ოკრუტის სულის ქვემოთ) ისეილება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ. ხატაური — — — 10 კ.

გამოვიდა და ისეილება ტენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბუფვარზე და გრაქუროვის მაღაზიაში გუგის სი-დის უფრზე, პალის ჰიდრაშირ:

ალექსანდრე ჰავჭავაძის
ლექსები

ნაწილი პირველი. ფასი მესამეი შაური.

იქვე ისეილება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

მართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაველია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

ბრიგოლ მრბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (ბურამიანი), თქმული დავით ბურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

ბაქია-აღამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი. (5—4)

ლონდონის მაღაზია

მრეგნის მოედანზე № 2, კომერ-ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერები-

სა, ბოქლომათა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულკების, კარანდების, რკინის კალმების და სხვ... (100—98)

მიუხედავად იმისა, რომ ზაფი მოი-მატა, სუქნელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: გონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ გარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაქოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ზანსის უნაგრების გასასყიდვად, ჯონსის კლიტებისა, შოგო-ლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრანს რომელთაც დაიმსახურეს ჰარიყის მსოფ-ლიო გამოფენასედე ოქროს მედალი. გირვანქა არამატოული ჩაისა ლამაზი ჩაინიგით 1 მ. 65 კ. და სუფსაუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი გოსტიუმი 15 მ. სველების გონტეტი 60 კ. ერთი გირვანქა. (100—80)

ინგლისის მაღაზიაში

თქმული



მამ-მამ-ტმის

ამგრებს თმას და ადრინდელ ფერს ამღებს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაზ.

აქვე ისეილება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუ-ლეტის საზონი, დუხები და სხვ (150—150)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეც სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., გრავატანი გრესლო 10 მან. დაწვებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანასავი 50 კაზ., სრუსტალის ჩაის სტაქები 30 კაზ. თითო, ინგლისური ვანები და სხვ. ინგლისის მაღაზიაში.

10,000 რწველი ქალის წინდები 25 კაზ. დაწვებული 75 კაზ.-დისინ, 10,000 რწვე. კაცის წინდები 35 კაზ. 1 მან.-დისინ, 7,000 პანდოსები 5 კაზ.—5 მან.-დისინ, 1,000 გრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზი 1 მ.—1 მან. და 30 კაზ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაზ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერ 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნასეკარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკე-ბით 1 მ.—65 კაზ., რკინის კალმები უკლებსაგან სელისათვის. (15—15)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურ-ველმა უნდა იყიდოს ჩაი, ჰირ-ველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაზ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაზ. და 3 მან. უკლებსაგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რა-მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღა-ზია ამღებს ჩაის წმინდა წო-ნით უქალაქოთ და უტყვიოთ. (100—12)

ტფილისის ჩარკიანის წიგნის მაღა-ზიაში და მუთაის გერარდის წიგნის მაღაზიაში ისეილება

სამწერლო თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭეჭინასაგან. შინაარსი: I ბაზუას თხზვან (ლექსი) მ. შაზელისა, II უბე-დური შემთხვევა (ამბავი) ზ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. შაზელისა, IV მ...სადმა (ლექსი) ზ—სა, V ფერი ფერს — მაღლი ღმერთს სამ-მოკმედებიანი კომედია ცელილ. თარგმ. ალექსი ჰიჭინაძისაგან, VI ჩი-ვილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ მრისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ღიტერატურაში და X მტარვალეს (ლექსი) აკაკისა. ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

ლონდონის მაღაზია გამოქრეული პანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდვად ჰირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტებისა, ტურტლებისა, გრავატებისა, დანებისა, ვოვებისა, ჩაინიკებისა, შო-გოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-სა, შოა კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ლადისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნა-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშჩი-გინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-კინტომის მოსახურავებს გასასყიდვად ვანფეტების და პატკერის და კამშ. მუ-რბისა, აგრეთვე ჩულკებისა და წინდე-ბისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ჭკვანს გაარბი. (100—98)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
Съ 1-го юля по 1-ое января 1882 года
на ежедневную газету
„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“
(четвертый годъ изданія)
ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб. Иногороднымъ съ пересылкою. . . 4 руб.
Подписка принимается въ Тиф-лисѣ, въ конторѣ редакціи, на Двор-цовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера. (12—12)